ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1 10 აგვისტო 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 105

ავთანდილ მექვაბიშვილის შვებულებიდან გამოძახების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 13 აგვისტოს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ №54 ბრძანების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სამსახურეობრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ მექვაბიშვილი გამოძახებული იქნეს კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებიდან მ/წ. 10 აგვისტოდან.

2. ბრძანება ხელმოწერისთანავე გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, სიორიძის ქ.№14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ალეკო მამეშვილი

Created by free version of DocuFreezer